ოქმი:**ო08. 3724353001**

თარიღი:**18/12/2024**

# ოქმი № 16

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 17 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

14.00 -14.30 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ** კომისიის წევრები: ნ. ურუშაძე, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, გ. კილაძე, გ. შილაკაძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, დ. დარჩია.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

### დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

   **მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე**

   **თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია**

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში გ. ეპისკოპოსის ქუჩაზე მდებარე(ს.კ.26.26.47,371) 237 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 112 კვ.მ-ს სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

   **მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე**

   **თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე**

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე(ს.კ.26.26.31.009) უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე**

**თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე**

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის 2025 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

**მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე**

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტზე, აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოტანილი იქნა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში და პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო 2025 წლის კორექტირებული ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, 2025 წლის ბიუჯეტის ოდენობა განისაზღვრება 43.400. ათასი ლარით, შემდეგ თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ბიუჯეტის პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსებაზე, რომლებიც ფუნქციურად კომისიის შესწავლისა და განხილვის საგანია. ამის შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ ისაუბრა საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების და ფრაქციების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების კორექტირებულ ბიუჯეტში გათვალისწინების თაობაზე და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დარგობრივი კომისიების შენიშვნებზე. კორექტირებული პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე შენიშვნები არ დაფიქსირდა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, ვრცელი ინფორმაცია საკრებულოს წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ კომისიის წევრმა ვლ. ხავთასმა დასვა შეკითხვა საიჯარო ქირის ოდენობაზე, უპასუხეს რომ იგი შეადგენს წელიწადში 1000 ლარს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ ესაუბრა დღის წესრიგის მე-3 -ე საკითხზე, ვრცელი ინფორმაცია აქაც გააკეთა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილი 2025 წლის სამუშაო გეგმა, კომისიის წევრებმა მოიწონეს გეგმა და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი წარდგენა საკრებულოს ბიუროზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

**გადაწყვიტეს:**

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის N 1, 2,3 საკითხები წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა- დამტკიცების მიზნით.

2. კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი